სსკგ-ის თავმჯდომარე ერაყში ქრისტიანული თემების წარმომადგენლებს შეხვდა

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 28.09.2025. 28 სექტემბრის საღამოს ერაყის ქურთისტანის ავტონომიურ რეგიონში ვიზიტის ფარგლებში, მოსკოვის საპატრიარქოს საეკლესიო საგარეო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი, საზეიმო მიღებას დაესწრო, რომელიც უწმინდესმა კათოლიკოს-პატრიარქმა მარ ავა III-მ ნიკეის კრების 1700 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეთათვის გამართა.

დამსწრე საზოგადოებისადმი თავის მიმართვაში, აღმოსავლეთის ასურეთის ეკლესიის წინამძღვარმა ხაზი გაუსვა კონფერენციაში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქის მონაწილეობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

ერბილის ასურული კულტურის ცენტრში გამართულ მიღებაზე მიტროპოლიტი ანტონი შეხვდა და ესაუბრა ერაყის ქრისტიანული ეკლესიების წარმომადგენლებს. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს:

ერბილის მთავარეპისკოპოსმა ბაშარ ვარდამ (ქალდეის კათოლიკური ეკლესია); მთავარეპისკოპოს მოსულის, კირკუკისა და ქურთისტანის მთავარეპისკოპოსმა მარ ნიკოდიმოს შარაფმა (სირიის ორთოდოქსალური ეკლესია); ერბილისა და ქურთისტანის ეპისკოპოსმა ნათანაელ ნიზარ სემაანმა (სირიის კათოლიკური ეკლესია); აღმოსავლეთის ასურეთის ეკლესიის წარმომადგენლებმა: სირიის მიტროპოლიტი მარ ეფრემ ათნეილმა; ინდოეთისა და სამხრეთ სპარსეთის ყურის ქვეყნების მიტროპოლიტმა ევგენი კირიაკოსმა; დოჰუკისა და ნინევიის პისკოპოსმა მარ აბრის იუჰანამ; ბაღდადის ეპისკოპოსმა მარ ელია ისააკმა; ირანის, სომხეთისა და საქართველოს ეპისკოპოსმა მარ ნარსაი ბენიამინმა; აღმოსავლეთ ამერიკის ეპისკოპოსმა მარ პაულოს ბენიამინმა; ვიქტორიისა და ახალი ზელანდიის ეპისკოპოსმა, აღმოსავლეთის ასურეთის ეკლესიის წმინდა სინოდის მდივანმა მარ ბენიამინ ელიამ; დასავლეთ ევროპის ეპისკოპოსმა მარ აბრაჰამ იოჰანესმა; ასევე, სამოციქულო ნუნციატურის საქმეთა დროებითი რწმუნებული ბაღდადში, მღვდელი შარლ ლუანგა სუუნა.

განხილულ იქნა ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტი მოსკოვის საპატრიარქოსა და ერაყისა და ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანულ თემებს შორის.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/93607/